სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138784821821

№ 2997

23 / სექტემბერი / 2021 წ.

შპს „კაპიტალ +“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT200020586;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „კაპიტალ +“ (ს/ნ: 416347117);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 28 ივლისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის 2021 წლის 28 ივლისის №36-01212092083 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6021), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „კაპიტალ +“-ის (ს/ნ: 416347117) მიერ NAT200020586 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 9 თებერვლის №02.09.16/029 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის berikaberika700@gmail.com მეშვეობით, 2021 წლის 2 აგვისტოს № 2682 წერილებით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 9 თებერვლის №02.09.16/029 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 9 თებერვალს, NAT200020586 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობამ და შპს „კაპიტალ +“-მა (ს/ნ: 416347117) გააფორმეს №02.09.16/029 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, მისი გაფორმებიდან 2021 წლის 15 მარტისთვის, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 118 997,03 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2021 წლის 15 აპრილი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 24 მარტის № 02.09.16/30/029-1 შეთანხმების აქტის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 15 აპრილი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 15 მაისი.

4.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი შპს „მისტიკ ჯითის“ 2021 წლის 19 ივლისის № 2021/4 წერილის თანახმად, მიმწოდებელმა ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. ამავე წერილის თანახმად, სამუშაოების შესრულება შეჩერებული იყო 2021 წლის 4 ივნისის შემდეგ, ხოლო 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ კომპანიის წარმომადგენლებთან კონტაქტი ვეღარ მყარდებოდა.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2021 წლის 22 ივლისის № 36-01212032115 წერილით მიმწოდებელს მოსთხოვა სამუშაოების განახლება არაუმეტეს 5 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეწყდებოდა ხელშეკრულების მოქმედება.

4.5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის 2021 წლის 28 ივლისის N138-5 სხდომის ოქმით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 70 203,12 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების მოცულობის 59%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „კაპიტალ +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 9 თებერვლის № 02.09.16/029 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო,

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „კაპიტალ +“-ს (ს/ნ: 416347117) 2021 წლის 18 მაისს მიეცა გაფრთხილება NAT200012864 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 22 სექტემბრის № 362 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. ამასთან, შპს „კაპიტალ +“ (ს/ნ: 416347117) 2021 წლის 21 მაისს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT200015026 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 16 ოქტომბრის № 316 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების მოცულობის 59%). შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილებისა და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „კაპიტალ +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „კაპიტალ +“ (ს/ნ: 416347117) 2021 წლის 24 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე